შპს“ჭკვიანი სახლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019წლის 31 დეკემბერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის უწყისი		01,01,2019	31,12,2019
	გაშიფვრები		
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	1,266,766	2,012,335
საინვესტიციო ქონება		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
		1,266,766	*2,012,335*
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	175,356	710,420
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან	3	2,169,722	1,319,153
მარაგები	4	1,111,796	1,854,377
გადახდილი ავანსები		53,430	152,260
მოთხ. პარტ. გაცემული სესხიდან			114,500
მისაღები პროცენტები			6,880
სხვა მიმდინარე აქტივები		224,428	437,730
		3,734,732	*4,595,320*
მთლიანი აქტივები			
		5,001,498	***6,607,655***
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		98,146	98,146
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,756,561	2,434,044
გადაფასების რეზერვი		-	-
		3,854,707	*2,532,190*
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	5	293,545	306,145
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		293,545	306,145
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურეობიდან	6	121,514	1,540,011
გადასახდელი ხელფასები	7	-	
საგადასახადო ვალდებულებები	9	-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
		-	-
მიღებული ავანსები		731,732	2,229,309
		853,246	*3,769,320*
მთლიანი ვალდებულებები			
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,146,791	4,075,465
		5,001,498	***6,607,655***

დირექტორი

ირაკლი ჭაჭუა

ს/კ 200273818

კონსოლიდირებული მოგება - ზარალის ანგარიშგება		
31.12.2019წ		
	შენიშვნა	
შემოსავალი ძირ საქმიანობიდან	12	**2,526,126.00**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	-146,800.00
ამორტიზაცია	1	-15,778.00
პერსონალის ხარჯი		-1,435,760.00
იჯარა		-21,136.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	-1,159,593.00
სხვა ხარჯები		-112,167.00
საოპერაციო მოგება		-365,108.00
არასაოპერაციო შემოსავლები	15	**42,897.00**
არასაოპერაციო ხარჯები	16	-6,535.00
ფინანსური შემოსავალი		**6,880.00**
ფინანსური ხარჯი (პროცენტი)	17	-8,831.00
საკურსო სხვაობა		-30,175.00
მოგება დაბეგვრამდე		-360,872.00
მოგების გადასახადი		-98,452.00
წმინდა მოგება		-459,324.00
სხვა სრული შემოსავალი:		
გაცემული დივიდენდი		-863,193.00
მთლიანი სრული შემოსავალი		-1,322,517.00

მოგება - ზარალის ანგარიშგება		
31.12.2018წ		
	შენიშვნა	
შემოსავალი ძირ საქმიანობიდან	12	**2,984,915.00**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	-116,368.00
ამორტიზაცია	1	-22,152.00
პერსონალის ხარჯი		-1,157,977.00
იჯარა		-31,167.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	-1,338,216.00
სხვა ხარჯები		-11,664.00
საოპერაციო მოგება		**307,371.00**
არასაოპერაციო შემოსავლები	15	-
არასაოპერაციო ხარჯები	16	**0.00**
ფინანსური შემოსავალი		**0.00**
ფინანსური ხარჯი (პროცენტი)	17	-9,701.00
საკურსო სხვაობა		-2,428.00
მოგება დაბეგვრამდე		**295,242.00**
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		**295,242.00**
სხვა სრული შემოსავალი:		
გაცემული დივიდენდი		-794,737.00
მთლიანი სრული შემოსავალი		-499,495.00

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	**98,146**	**-**	**3,756,561**	**3,854,707**
წმინდა მოგება	-	-	(459,324)	**(459,324)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-		**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(459,324)	**(459,324)**
გაცემული დივიდენდი	-	-	(863,193)	**(863,193)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**98,146**	**-**	**2,434,044**	**2,532,190**

დირექტორი

ირაკლი ჭოჭუა

ი. ჭოჭუა

"სმარტ ჰაუსი" * "SMART HOUSE" LTD * 200273818

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი

	2019 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში	175,356.00
საოპერაციო საქმიანობა	**1,454,345.16**
მყიდველებიდან შემოსული ფული	5,383,802.81
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(1,165,521.17)
გაცემული დივიდენდი	(820,033.00)
გაცემული ხელფასი	(1,065,251.38)
გადახდილი გადასახადი	(832,359.55)
სხვა ხარჯები	(46,292.55)
საინვესტიციო საქმიანობა	**(779,320.02)**
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(779,320.02)
შემოსავალი გაყიდული ძირითადი საშუალებებიდან	
ცვლილება კაპიტალში	58,495.00
გრძელვადიანი ინვესტიციები	(58,495.00)
ფინანსური საქმიანობა	(139,961.22)
გაცემული სესხი	(101,899.79)
გადახდილი პროცენტები	(8,830.51)
საკურსო სხვაობა	(29,230.92)
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	535,063.92
ფული პერიოდის ბოლოს	**710,420**

დირექტორი

ირაკლი ჭოჭუა

ი. ჭოჭუა

"SMART HOUSE" * "ჭკვიანი სახლი"

SMART HOUSE

200273818

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჭკვიანი სახლი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სანზონა კორპ N6 ბინა N36

კომპანიის დამფუძნებლები და 2020 წლის 1 იანვრისათვის წილის მფლობელები არიან:

ვლადიმერ ცორიკიშვილი 50%

ირაკლი ჭოჭუა 25%

დავით ცორიკიშვილი 25%

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უსაფრთხოების სისტემების მომსახურება.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს-ფას სტანდარტის შესაბამისად, 2019წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შპს"ჭკვიანი სახლის" (შემდგომშივ „კომპანია") ხოლო მისი შვილობილი საწარმოსათვის (შემდგომში „ჯგუფი") 2019 წლის 29 მარტის მდგომარეობით. შპს"ყაზბეგი პანორამა" წარმოადგენს შვილობილ კომპანიას რომლის 51% წილის მფლობელი არის „კომპანია" და 49% წილის მფლობელი მოქ.შოთა წიკლაური. შპს"ყაზბეგი პანორამას" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნე მომსახურება. ამასთან აღსანიშნავის, რომ კომპანიამ ჯგუფში შემავალი შპს"ყაზბეგი პანორამას" 51%-იანი წილი გაასხვისა 2019წლის 29 მარტს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს-ფასს-თან და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

შვილობილი საწარმოები გახლავთ ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, სტრუქტურული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე, (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება, და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულშემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდანაცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან. ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის

მიუხედავად.შეძენილ საწარმოში გადახდილი კომპენსაცია ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში. საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც ირიბად.არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. შვილობილი საწარმოების , მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასვლა . როდესაც ჯგუფს აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი გაუნაწილებელი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების ცვლილება კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეციკლირდება მოგებაში ან ზარალში.როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ მხოლოდ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, საჭიროებისამებრ.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს,

არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

• კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

• კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის

საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა	(წელი)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
შენობა ნაგებობა	20
მიწა	(განუსაზღვრელი)
არამატერიალური აქტივები	7

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის

განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებები											
ძირითადი საშუალებები	მანქანა დანადგარები	შენობა	ავეჯი	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	მიწა	არამატერიალური აქტივი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2018		876100	192,178		33,332	225,426		98,000	3,140	-	1,428,176
შემოსვლა		750,345	1,601		27,373						779,320
გადაფასება											-
გასვლა						(35,103)					(35,103)
31 დეკემბერი 2019	-	1,626,445	193,779	-	60,706	190,323	-	98,000	3,140	-	2,172,393
ცვეთა და გაუფასურება											
31 დეკემბერი 2018			(246)		(9,554)	(151,139)			(471)		(161,410)
პერიოდის ცვეთა			(255)		(3,807)	(11,263)			(454)		(15,778)
გასვლა				-		17,130					17,130
31 დეკემბერი 2019	-		(501)	-	(13,361)	(145,272)	-	-	(925)	-	(160,058)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
31 დეკემბერი 2018	-	876,100	191,932	-	23,779	74,287	-	98,000	2,669	-	1,266,766
31 დეკემბერი 2019	-	1,626,445	193,279	-	47,345	45,051	-	98,000	2,215	-	2,012,335

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ან შეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი აღარ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ავეჯსა და შესაბამის აქსესუარებს.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს,

გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2019წლის დასრულებული წლისათვის ჯგუფის მიერ დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 8831 ლარს. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება კი არის 306 145 ლარი.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანიის საქმიანობა იბეგრება დღგ-ს 18%-იანი განაკვეთით.

<u>**საოპერაციო იჯარა**</u>

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების" მუხლში.

<u>ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები</u>

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

5.ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2018წ	31.12.2019წ
ნაღდი ფული ერ.ვალუტაში	853	122 821
მიმდ.ანგარიშები ერ.ვალუტაში	128 436	35 468
მიმდ.ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	46 066	552 131
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**175 355**	**710 420**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც

ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31.12.2018წ	31.12.2019წ
	2 169 722	1 319 153

7.კაპიტალი

2018 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა შემდეგი დივიდენდები:

გადასახდელი დივიდენდები	31.12.2018წ	31.12.2019წ
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	794 737	863 193
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(794 737)	(863 193)
სულ გადასახდელი დივიდენდი	-	-

8. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან	31.12.2018წ	31.12.2019წ
ვალდებულება მომწოდებლებთან	121 514	1 540 011
სულ ვალდებულებები მომწოდებლებიდან და		

მომსახურებიდან	121 514	1 540 011

9.შემოსავალი	31.12.2019წ
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	2 526 126
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	49 777
სულ შემოსავალი	2 575 903

10. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები:	31.12.2019წ
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 159 593
ამორტიზაცია	15 778
პერსონალის ხარჯი	1 435 760
კომუნალური/კომუნიკაციის ხარჯი	8 796
იჯარის ხარჯი	21 136
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	138 004
სხვა ხარჯები	112 167
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	2 891 234

12. მოგების გადასახადი	31.12.2018წ	31.12.2019წ
	(0)	(98 452)

13. საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან

დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.